

მანბანბ ზანკოტაპე



თგავ-ანასკეტი

მელია, ტურა და მარვი

რედაქტორი დარეჯან ქანუოტაძე
მხატვარი ნუგზარ ყოყუაშვიდი
უომპიუტერული უზრუნველყოფა შადვა მურადაშვიდისა

მგლის ქორწილში დრო ატარეს
ტურამა და მელიამ,
სახლში გვიან ბრუნდებიან –
ცეკვავენ და მღერიან.
ტყეში მარვის ხმა გაიგეს,
წიოდა და კიოდა,
შველას სთხოვდა მუდარებით,
თვალზე ცრემლი სდიოდა.
თავს წაადგნენ ბარბაცით და
ხმამალალი სიცილით,
მელიამ ტაშს მოუმატა,
ტურა ხტოდა კვიცივით.



რა მოგსვლია, უბედურო...
ლამის დაწყდნენ ხითხითით,
აბა, ამას დამიხედეთ,
ვა-ხა-ხა და ხი-ხი-ხი.

არ მიხედეს, მიატოვეს,
გამოთათხეს უშვერად,
მასხარადაც აიგდეს, რომ
თავის თავს ვერ უშველა.

ყიტყიტებდნენ, დასცინოდნენ –
მაჩვი ბოთე ყოფილა,
ქორწილამდე ვერ მოვიდა,
მეზობელი სოფლიდან.

გესლიანი, ღრძო ქილიკით,
წყველი ხტოდა, მღეროდა,
ვერ შენიშნეს, რომ წინ დიდი
და ღრმა ორმო ელოდათ.

ჩაცვივდნენ და მოიტეხეს
კოჭი, ფეხი, ნეკები,
თავზე მიწა ეყრებოდათ,
გვერდში ჩხვლეტდა ეკლები.

ღვინისაგან გამოფხიზლდნენ,
ზეცა შეძრეს კვილით,
მაგრამ ვერავინ გაიგო,
მათი გულისტკივილი.

.....
.....

**„...ნუ დასცინი სხვასაო,
გადაგხდება თავსაო...“**

შურიტა და ღვარკლიტ



სამეზობლო ჰქონდათ მშვიდი,
ლომს, ვეფხესა და სპილოს,
ერთად ხნავდნენ, თესდნენ, მკიდნენ,
ერთად სხვამდნენ ღვინოს.

ცხელი დადგა ზაფხული და
ყველგან დაშრა წყალი,
სარწყავად რომ არ ყოფნიდათ,
დარდის აჩნდათ კვალი.

ბაღმა, ყანამ, ვენახებმა,
სწრაფად იწყო ხმობა...
შეიკრიბნენ, ითათბირეს,
კვლავ შეჰფიცეს ძმობა.

„მოსავალს თუ ვერ მოვიყვანთ,
თავს ვუშველოთ რითი?!
აბა, ახლა გამოჩნდება
თუ კი რამე ვიცით“.

მშენებლობა წამოიწყეს,
(მტერს დაუდგა თვალი),
როგორც იყო, შორი მხრიდან,
მოიყვანეს წყალი.

არხი გახსნეს. წყლის ნაკადი
ლაღად ისვრის შხეფებს...
ლომმა თქვა ჯერ ჩემსას მოვრწყავ,
ხომ ვარ ნადირთ მეფე?!

ვეფხვმა უღვაშს აჰკრა თათი
მე მაქვს დიდი წვლილი,
წისქვილი მსურს ვაგუგუნო,
მითავდება ფქვილი.

სპილო მწარედ აბურღუნდა,
ხორთუმს იქნევს ძალით,
თუ ჯერ მე არ დამაწყურებთ,
მზად მაქვს ბასრი ხმალი.

გინებით და წყევლა-კრულვით,
უცბათ მტრებად იქცნენ,
ერთუროს ველარ იტანდნენ და
სულ ცალკ-ცალკე ისხდნენ.

ვერ შეთანხმდნენ – გესლის ნთხევით,
გასკდნენ, როგორც კვანძი,
ნაწვალეები, ნაოფლარი,
დაანგრიეს არხი.

ერთმანეთი შეიძულეს,
დაიბოღმნენ ბრაზით,
ვერც ხორბალი დაამწიფეს,
ვერც ახარეს ვაზი.

შემოდგომა რომ მობრძანდა,
მაშინ მიხვდნენ „ძმები“,
რომ ზამთრისთვის არ ექნებათ,
პური, ღვინო, ძნები.

.....
.....

**„თუ გსურს იგემო
ღვინო და პური,
უნდა აღკვეთო
ღვარძლი და შური“.**

ნადირების ქარტია

მაჩვი, ტურა, მაიმუნი,
მგელი, კატა, მელია,
შეიკრიბნენ, გადაწყვიტეს
საქმე საკვირველია.

ყველამ ცალკე ჩაიფიქრა,
შექმნას რაღაც პარტია,
წესდებებიც გამოაცხეს,
შეკოწიწდა ქარტიაც.



დაჯგუფდნენ და განცალკევდნენ,
ყფითა და ღრენითა,
ღვარძლი ბევრი დაანთხიეს,
ერთმანეთის ცქერითა.

მთელ წელიწადს იყაყანეს.
იჩნუბეს და იბრაზეს,
მიტინგები, გაფიცვები,
არ მოიკლეს, იმრავლეს.

შეურაცხვეს, დაამცირეს
ახალგაზრდა, ხნიერი,
ზამთარი კარს მოადგათ და
ყველა დარჩა მშიერი.

წუთს გაუფრთხილდი ფასი აქვს ვიდრე,
გინდა ცხელოდეს, გინდაც აცივდეს.
შური და ღვარძლი არვის უხდება,
დაზარალებს ყველას უკლებლად.



ციყვი და ყვავი

ყვავმა ჩხავილით აიკლო,
ტყე-ველიანი მიდამო,
ციყვო, მითხარი რა მელის,
მშია, საჭმელი მინდაო.
საჭმელი თუ გსურს, ყვანჩალავ,
დიდი გარჯაა საჭირო,
ინხავლე, თუ გსურს ბახლები
მწარე შიმშილით ატირო.
ბრიყვო, რა გესმის ცხოვრების,
როგორ მასწავლი ჭკვასაო –
თავზე ისეთი დასჩხავლა,
გახეთქდა სიპსა ქვასაო.

ციყვი ახტა და გადახტა,
კაკალს მიაგნო ბუჩქებში,
სხვა კენკრაც არ დაიწუნა,
რბილი იყო, თუ უხეში.
დღეს დღე მისდევდა,
თვეს კი თვე,
ციყვი ოფლისღვრით იწვოდა,
ზამთრის მოსვლას და სიცივეს
გრძნობდა და კარგად იცოდა.



სრულად შეავსო მარაგი,
ანლდა გამრჯელის იერი,
ყვავმა ინხავლა, ინხავლა –
დიდი ხნით დარჩა მშვიერი.
.....
.....

**ზამთარი ვერა სჯის,
ვერ ჩავრავს მას,
ვინც შრომით წვეწვს ადენს
პიტალო ქვას.**

ჯიუტი ბაჭია

ღამეა, ბნელა. დაბურულ ტყეში,
ბინადართ უჭირთ გარეთ გამოსვლა.
ატყდა ბაჭია (ჭკვა თუ აქვს ფეხში)
და მოისურვა წასვლა ბაბოსთან.
დედაკურდღელმა სიტყვით ფხიანით,
დატუქსა იგი – კარგად მისმინე,
სახიფათოა, არის გვიანი,
მგელი დაგხვდება სადმე, ტყისპირზე.

არ დამჭირდება მე სხვათა შველა,
როდი ვარ სუსტი, ანდა ლაჩარი,
გავანადგურებ მტაცებელს ყველას,
ეკალ-ბარდიან ტყეში რაც არი.
შვილო, მე არ ვარ შენი მოქიშპე,
ავადმყოფს ასე რატომ მეპყრობი?!
ზღაპარი თუ გსურს, მზად ვარ მოგიყვე,
ასე ჯობია შენთვის, მე მგონი.



არა ესმოდა, ცქმუტავდა, ხტოდა,
 თითქოს ჰქონოდა ყურები ვირის,
 გარეთ გავარდა, გამოვარდა ოდას,
 ცეკვა-თამაშით გაუყვა ბილიკს.
 რაღაც ფაჩუნის ხმა მისწვდა ყურებს,
 ტანი აეწვა უცნობი ალით,
 აუკანკალდა მუხლები უცებ...
 ბნელში გამოკრთა მგლის ორი თვალი.
 მოკურცხლა, რაც კი შესწევდა ძალა,
 პირდაღებული მისდევდა მგელი,
 ველარ იგემებს კომბოსტოს, ჩალას...
 ფიქრობს – უდაოდ სიკვდილი მელის.
 თავპირისმტვრევით შევარდა სახლში,
 გზას უკვალავდა ციმციმი მთვარის,
 გაექცა მგლის ჯიშს, უძღებს და საშიშს –
 დედამ ურდულით ჩარაზა კარი.

.....


**სიჯიუტე სენი არის გასაკილი,
 მოერიდე, რომ არასდროს გაგკრას კბილი.**



უჯიუო მაიოუნი

სხვის ჯიბეში ფულებს თვლიდა,
 ბოლმით გულზე სკდებოდა,
 განგამს სტეხდა, თითქოს მთიდან
 ზვავი ემუქრებოდა.

ძლიერ სწყინდა, თუ სხვის ბაღში
 მწიფდებოდა ატამი,
 ფერით ჰგავდა დამწვარ ნახშირს,
 წესს მისდევდა სატანის.



მეზობლის ქალს ცილს სწამებდა,
 სადა ჰქონდა ნამუსი?!
 ერთად სძულდა: მისალმება,
 ია, ვარდი, კაკტუსიც.

სწყევლიდა და აგინებდა,
 პატრონს ახალ მანქანის,
 თვლიდა – მისი არის ნება
 გესლი თესოს ქაქანით.

მოსწავლისაც შურდა ავსულს,
ფრიადებს თუ იღებდა,
სიკეთე და მაღლი არ სურს,
არის მტრობის იმედად.

გამუდმებით ღვარძლი „შვენის“,
არ ჩერდება არც ღამე,
შეეყარა მძიმე სენი,
ყოფა აღარ აცალეს.

ღროზე ადრე, მავნე სული,
განუტევა, თან გაჰყვა,
ახდა სიბრძნე არსებული,
უფლის ნების თანახმად.

.....
.....

**ვინც გესლი და ბოროტება,
გულში უხვად ჩატია,
დარჩა მწარე მოგონებად,
ღმერთმა არ აპატია.**

უბედური კურდღელი

გამოაცილეს სუფრიდან,
კურდღელი კარგად შემთვრალი,
მღერის რომ არის სულწმინდა,
არავისი აქვს დღეს ვალი.

„ლხინი მრავალი მინახავს,
ჰარალი, ჰერი, ჰერიო,

ჩემზე მამაცი ვინა ხართ –
ვერას დამაკლებს მგელიო“.

გზააბნეული იერთ
თავზე წაადგა მგლის ბუნავს
(ქოფაკი თუა მშიერი,
მასთან შეხვედრა ვის უნდა?!).

ღვინომ იძალა სხვა დონით,
მგელს ხედავს გაორებულად –
„თუ ძალა შეგწევთ გამოდით,
თავს რომ მიიჩნევთ ქებულად“.

მგელმა გაიგო, თითქოსდა,
იყუჩა, როდი დაცოფა,
ბედად, მამლარი იყო და
თქმა ჩაუთვალა ანცობად.

სიმთვრალე როდი უხდება –
კუნტრუშობს მხეცის თვალეზწინ,
ავინებს და ემუქრება
ბინა-ბუნავის დალეწვით.



მგელმა შელრინა „უზრდელი,
დაგილევია მთხლე ღვინო,
შენი გზით წადი, კურდღელი,
თავი არ შემაჭმევინო“.

არ მოუსვენა კურდღელმა,
ცხვირში უჩიჩხინ-უჩქმიტა,
მგელმა ზედმეტის უთქმელად,
შეახრამუნა ყურცქვიტა.

.....
.....

**მტერი მტერსა ვერას ავნებს,
რომე კაცი თავსა ივნებს.
(შოთა)**

მსუნაგი თეთრი ღათუჩა

შეაწუნა თეთრი ღათვი
ორთვიანმა შიმშილმა,
ჩაძუნძულდა ზღვის ნაპირზე,
ნახა ბადეს ვინ შლიდა.

შეამჩნია – ორი კაცი,
სავსე ბადეს ქაჩავდა,
შორიანლოს მესამე კი
ქვაბში დიდ თევზს ხარშავდა.

პირზე ნერწყვი მოადგა და
თავს დაესხა მებადურს,
ღრიანცელით მიმოფანტა –
თევზის ჭამა ეხლავ სურს.



თავს უშველეს, ნავში ჩახტნენ,
გაერიდნენ მსუნაგ მხეცს,
მოშორებით კანკალებდნენ,
დიდი საფრთხე უმალ სცნეს.

ის კი არას დაგიდეკდათ,
სხვის გაძარცვას არად თვლის,
ერთიანად გადასანსლა
მეთევზეთა ნადავლი.

ვეღრა, ქვაბი, დიდი ჩანთაც
ამოფხიკა, ალოკა,

ყელში ფხები გაერჭო და
სიმწრისაგან აროკდა.
იღრიალა, იფართხალა,
სუნთქვა ეკვრის დათუნას...
დაეცა და საშუდამოდ
ორივ თვალი დახუჭა.

.....
.....

**არ დაგებინდოს ჭკვა და გონება,
ნუ შეედრები შეშლილს,
თუ დაუფულე სხვათა ქონებას,
გაგერხირება ყელში.**

მაჩვი, ზღარბი, თხა და ღორი

მაჩვი, ზღარბი, თხა და ღორი,
დამსხდარიყვენ ურემზე,
ხარს ხშირ-ხშირად უბიძგებდნენ –
„ნაჩვევი ხარ ულევ გზებს“.

გზად შემოხვდათ – სავალალოდ,
ლეღიანი ჭაობი,
ურმის თვალი ღრმად ჩაიფლო,
ხარი ველარ ამოდის.


მაჩვს უბრძანეს, აბა მიდი,
ხარს მიეცი მხარიო,
საცა არის დაღამდება,
ტყის გზა უნდა გავლიოთ.

მაჩვი წვალობს, ოფლში ცურავს,
ულელს ქაჩავს ძალუმად,
ურემი კი ისევ დგას და
სახლში წასვლა არ უნდა.

ზღარბი მწარედ ივინება,
მაჩვს უწოდებს უქნარას,
თხა კიკინებს, ნერვიულობს –
ღორს მძინარეს უთხრან რა?!

მუხლებამდე ლაფში ტოპავს,
მაჩვი მარტოდ, ეულად,
ნებივრობენ თხა და ღორი,
ზღარბიც არ განძრეულა.

ურემი კი ისევ ლაფში,
ჩაფლულია, არ იძვრის,
მერე მაჩვი ჩაეჭიდა
ფესვს, ბებერი ნაძვისხის.



ფესვი მოწყდა. აქ ჩარჩენა
 ელოდებათ ნუთუ დღეს?!
 ხითხითებენ თხა და ზღარბი,
 ღორი ძილში ღრუტუნებს.

საიდანღაც ერთი ბრძენი,
 მათთან ახლოს მივიდა,
 გაიკვირვა საქციელი...
 გადმოვიდა ვირიდან.

ზღარბს უბრძანა – შენ ამ ბორბალს
 მკერდით უნდა ებგერო,
 თხა უკნიდან მიაწვება...
 საქმე მისცა მერე ღორს.

ერთიანად შეუტიეს,
 დასძრეს მძიმე ურემი,
 უკან დარჩა გაჭირვება
 გზაც გალიეს უღვევი.

.....

**კაცი გარჯით უნდა ქსოვდეს,
 თავის ყოფის არშიას,
 უღაოდ ღირს, სულ გვანსოვდეს –
 „ძალა ერთობაშია“.**

ვოკალისტი პირი

წაიყვანეს სასწავლებლად
 ვოკალისტთა სკოლაში,
 ვირს უხსნიან, ახლა ნება –
 სიმღერაა მოღაში.

თუმცა ბევრი იზეპირა,
 დო-რე-მი-ფა-სოლ-ლა-სი,
 ვერ ქაჩავდა იმედს ხშირად,
 არ სწყალობდნენ სკოლაში.

შეძლებულმა მამამ, მაშინ,
 „დიდი ფული“ დახარჯა –
 „რას უწუნებთ ჩემ შვილს ხმაში,
 აზანზარებს ფანჯარას“.



არ მოაკლო საჩუქრები
პედაგოგებს, აღმზრდელებს,
„სხვა“ წესით და „სხვა“ უფლებით
ვირი „სწავლას“ აგრძელებს.

როგორც იქნა დაასრულა,
სკოლა წვალე-წვალეებით,
მშობლებს ერთის თქმადა სურდათ:
„მტერს დაუდგეს თვალები“.

დიპლომების გადაცემას
ახლდა დიდი კონცერტი,
ვირს უცქერდნენ ალმაცერად –
ღირსიანო ჯოხ-კეტის.

და მოსთხოვეს მას ემღერა –
ფერი მისდის „დიპლომანტს“,
ყელი ისე მოიღერა,
უკეთებდნენ თითქოს ბანტს.


იყროყინა ხმალრიალამ,
ვერ იპოვნა ხმის ტონი,
შეაგინეს, მას კი არა –
ვინც აჩუქა დიპლომი.

ვირის მამა იწვის დარდით,
დარჩა მისი აჩრდილი,
ყველა დამსწრე სახლში გარბის
ყურში თათებჩაჩრილი.

.....
.....

**„არა შეჯდა მწყერი ხესა,
არა იყო გვარი მისი“.
(ხალხური)**

საბედისწერო არჩევანი



გამრჯე ფუტკრებს უღრან ტყეში
დაუნიშნეს გამგებელი:
უწიგნური, მოთავისე,
ქვემძრომელი, როგორც გველი.

გამგებელმა სულ ოთხ წელში
გადაჭამა ყველაფერი,
ნათესავეს დაურიგა
კერა, ფუძე, ტყე და სერი.

აზუნუნდნენ ფუტკრები და
მოითხოვეს არჩევნები:

„ჩვენ ის გამგებელი გვინდა,
ვისაც მოდგმა არჩევს ნებით“.

გაუყალბეს არჩევნები,
ძალადობდა დათვიც, მგელიც
და მოაჯდა ფუტკრებს თავზე
ისევ ძველი გამგებელი.

გათავხედდა ძველი შეფი:
„ჩემს შემცვლელს ვერ იპოვითო,
ახლა ნახეთ, სულს ამოგხდით,
თუ ვერ შევძლებ, ვიყო „ხვითო“.
ტყეც გაკაფა, საძოვრებიც,
პარპაშობდა ყეფა-ღრენით,
საწყალ ფუტკრებს ქანცი გასძვრათ
შორ მანძილზე ფრენა-ფრენით.
კიდევ ორ წელს იზუზუნეს,
მერე იწყეს ხოცვა-კლება,
ვინც გადარჩა, საგანგებო
მოიწვიეს უმაღ კრება.
იმსჯელეს და ითათბირეს,
ერთობაზე დადეს ფიცი.
თქვეს: „გვაჯობეს, მოგვატყუეს,
ეს ხომ ყველამ კარგად ვიცით.
ამის შემდეგ ვიყოთ ერთად,
ხეს არ მისწვდეს ისევ მუშლი
და მომავალ არჩევნებში
ავირჩიოთ ღირსეული“.
შეფს ამბავი მიუტანეს:
„გაფრთხილდიო, კრახი გელის“,
მას კი დიდი იმედი აქვს
თოფიანი ხარბი მგელის.
ფუტკრებს ძალა აღარ ჰყოფნით
(დროს ვერ გრძნობენ განახლებულს).

ვერ ამჩნევენ პატიოსანს,
მშრომელს, კეთილს, განათლებულს.
ერთი წელიც გაატარეს
შიშშილსა და სიბნელეში,
დაძაბუნდნენ, დაუძღურდნენ,
ძლივს აგნებდნენ ყვავილს ტყეში.
არჩევნების წინა დღეს კი
გამარჯვებულ კაცის პოზით,
შეფმა ფუტკრის დოვლათიდან
თითოს მისცა თითო კოვზი.
გაყალბება ახლა უკვე
არ მოსვლია არვის თავში
და ფუტკრებმა საკუთარი
ხმა შეფს მისცეს ერთ კოვზ თაფლში.
კვლავ დამარცხდნენ ფუტკრები და
აღარ უჩანთ სხივი თვალში,
კი, თქვეს, ჩვენზე ახილო,
რომ შვილები ჩაძვრნენ ვალში.
.....
.....
**„რაც მოგივა, დავითაო,
ყველა – შენი თავითაო“.**

ლეგიონარი კენგურუ

განზრახვა ჰქონდა ურყევი –
ფეხბურთის ფედერაციას...
ხმა მიაწვდინა ტყეს და ველს
შეიკრიბეთო კლუბები;
ერთმანეთის წინ ჩამწკრივდნენ
მემარჯვენე და ცაცია,
მაყურებელმა ყიჟინით,
ცაში ისროლა ქულები.



ლომების გუნდმა, პირველმა,
მეტოქის მხარე დალაშქრა
და „სწრაფი გოლიც“ გავიდა,
მაღალ კუთხეში, „ცხრიანში“,

ფოცხვერი ჰყავდათ ჭრელ-ჭრულა
ლომებს კარების დარაჯად,
მაიმუნებს კი, მოწვევით,
კენგურუ ჰყავდათ სიაში.

ძალისმიერი თამაშით,
ლომთა მომგები – ვინ არი?!
საჭირო იყო ჭკუა და
ემშაკობების კასკადი.
დრო სწრაფად გადის, საცაა
ჟამი დადგება ფინალის.
კენგურუ-ლეგიონერმა,
ფინტი იხმარა ნაცადი.

ტორებს და თათებს გაჰქონდა,
ბაგა-ბუგი და გრიალი,
ბელტი აქოჩრდა მინდორზე,
ოფლი და სისხლი წვეთავდა,
მაიმუნები ჩქარობდნენ –
მერე არ იყოს გვიანი,
კენგურუმ „გახსნა“ ღრმა ჩანთა –
შეზრდილი ოდნავ წელსდაბლა.

მაღალი ბურთის შემყურე,
ლომი მაიმუნს ეძგერა,
კენგურუ ღგება იქ, სადაც
ბურთის დაცემას მოეღის.
მერე კი მოხდა, რაც მოხდა –
მუცელი გამოებერა
და სულ ორიოდ ნახტომით
სიგრძე დაფარა მოედნის.

გაკვირდნენ, ბურთს დაემებენ,
ვერ ნახეს – განა შებინდა?!
მსაჯს არ უნახავს ასეთი,
სიმწრით – ორივ ხელს

განზე შლის.

კენგურუმ, ამ დროს, მეკარეს
(ფოცხვერს) უფინტა გვერდიდან,
ბურთი დაადრო ჩანთიდან
და შეაგორა ბადეში.



ასე დამთავრდა თამაში
 (ალარა ვწერთ რომ მეტი),
 ყველას არიდა განგებამ,
 რამე ტრავმა და ხიფათი,
 ფოტოგრაფს უხმეს, შეჯგუფდნენ,
 დააფიქსირეს მომენტი,
 სურათის ცენტრში გამჟღავნდა
 კენგურუს მშვიდი „სიფათი“.



„ხერხი სჯობია ღონესა,
 თუ კაცი მოიგონებსა“.

ფეხბურთის მწვერული მგელი

სხვა არაფერი არ სურდა,
 ფეხბურთს მონებდა აზარტით,
 მწვერულ-წინამორბედს ას ფუნტად
 ძეგლი დაუდგა ბაზალტის.
 მოთამაშეებს უსმენდა,
 ხან მკვახედ უკიჟინებდა,
 მარაგში ჰქონდა უცვლელად,
 ღრენა, ცემა და გინება.
 მატჩებს იგებდა „დაწოლით“,
 დარდი არ ჰქონდა ხარისხის,

შედგის აწონ-დაწონის,
 პრინციპი ჰქონდა თავისი.
 თამაშს უცქერდა ჩეროდან,
 როცა იგებდნენ მისები,
 ილტვოდა – არ დარჩენოდა
 მიუწვდომელი მიზნები.

გულს უთუთქავდა წაგება –
 დასამტკიცებლად ერთს ვიტყვით,
 თუ მისი გუნდი აგებდა,
 ტრაური ჰქონდა ერთი თვით.

ხმას აღარავის არ სცემდა,
 ელრანჭებოდა ცხვირ-პირი
 და თვით შარშანდელ წაგებას,
 მწარე ცრემლებით მისტირის.

წაგების შემდეგ ერთდღესაც,
 მიღწე-მოღწეა ბუნავი,
 საჩხუბრად მიზეზს ეძებდა,
 ღორბლიანი და მსუნავი.

დედამ დატუქსა – რას შვრები,
 იქცევი, როგორც ბრიყვები...
 შენცა და შენი ბავშვებიც
 მინდა დაგმოდღვროთ სიტყვებით:
 რით ვერ შეძელით გაგება
 (ნუთუ, ასეთი ძნელია?),
 რომ მოგება და წაგება
 „განუყოფელი ძმებია“!

„მოგება და წაგება
 ძმები არიანო“



ცანცარა ინდაური

გადაწყვიტა საახალწლოდ, სწრაფად:
მიაკითხოს სილამაზის სალონს,
შეიკერავს ულამაზეს კაბას,
სხვას აჩუქებს მოძველებულ სამოსს.

სავარძელში ზის და უცქერს სარკეს,
აუჩქრებს, თუ რამ თმები ჰქონდა,
რალაც საცხით შეუზილეს სახე,
რწმენით უთხრეს – ასეთია მოდა.

მიდის გზაზე, გამვლელს ველარ არჩევს,
თმების ბლუჯა ეჩხირება თვალში,
წესს განუდგა წლობით უკვე ნაჩვევს...
ვერ იცნობდით დარდით ნერვებაშლილს.

მერე ქსოვილს მოუსინჯა ხიბლი,
შეარჩია ყვავილების ქარვით,
სახლისაკენ აბდაუბდა მირბის,
რომ მოსინჯოს სამკერვალო დარგიც.



შეიკერა, ჩაიცვა და შეკრთა,
ბოლმით უცქერს „ნაოსტატარს“ თვისას,
არა სწვდება, ვერ ახერხებს შეკვრას,
სარაფანი ჰგავდა ხურდის ქისას.

ძლიერ სწუხდა, არ ეძინა ღამით,
დილით ოდნავ შეეპარა თვლემბა,
ნახმარ სამოსს მოუყარა თავი
და მიართვა მდიდარ სირაქლემას.

„ვის უბედავ შენ ამდაგვარ სცენას?
პატივისა მცემს მთელი ჩვენი მხარე“.
სირაქლემამ აგინა და სცემა,
წიხლიც გაჰკრა, გამოაგლო გარეთ.

კარგად დაფიქრდი, ნუ აჩქარდები
და გაიხარებ თევზის დაჭერით...
თუ ჩხვლეტა არ გსურს ეკლით ვარდების
„შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“.

ღორის ძორჭილი

აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ
მაჭანკლები,
ღორს საცოლვე შეურჩიეს
მზის დარი,
რა ფლაგებით, რა სასმელით,
საჭმელებით,
საქორწინო სუფრა ჰქონდათ
მდიდარი.

შეუძინეს მოღური და
სულ ახალი,
ტანსაცმელი უძვირფასეს
ნაჭრების,
(შურიანებს დაუდგეთო
უნდა თვალი) –
ფულის ხარჯვით გააკვირვეს
ვაჭრები.

თამალობდა ღორთა შორის
გამოცდილი,
წესს იცავდა სადღეგრძელოს
რივისას,
უხვად ჰქონდათ ახელილი
ქაბო-ფქვილი,
ღვინის დასხმა შაემა ღორმა
იკისრა.

შორს ისმოდა დუღუკების
ექო-ხმები,
ჭყიპინებდნენ ბურვაკი და
გოჭები,
საზეიმოდ წრიპინებდა
ჩელოს ხემი,
ცას უცქერდნენ ვარსკვლავებით
მოჭედილს.

ტვინი მალე შეახურა
მთხლე სასმელმა,
ლხენა-როკვით გაიწელა
ის სუფრა,
შეაწუნა ჰალსტუხმა და
ფესსაცმელმა –
სიძე-ღორმა გარეთ გასვლა
ისურვა.



იქვე, ახლოს გუბე ნახა
 ნაწვიმარი,
 შეგორდა და იტრიალა
 მწვადივით,
 გააოცა მაყარი და სხვა
 სტუმარი,
 ღრუტუნებდა სიბინძურის
 წადილით.


.....

„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“.



ცრუპანტელა მელია

როდი ღალატობს მელია,
 წესსა და ჯილაგს თავისას,
 სიყალბე არ დაელია,
 ხან ვის ატყუებს, ხან ვისა.



ერთს ფიცულობს და იკვეხნის,
 მერე აკეთებს სხვა რამეს...
 და თუ გაუგეს – მტკიცე ხმით
 მოწმედ იჩემებს ცას და მზეს.
 ტყეში გაწყვიტა ქათამი,
 (მათი ხმა აღარ ისმოდა)...
 ნადირთა მეფის ნათქვამი,
 მტრის ბუნაგისკენ მიჰქონდა.

ფული დასჭირდა – ასესხეს,
 გულწრფელად ენდნენ მელიას,
 აღარ ახსოვდა არცერთ დღეს –
 გადახდას დღემდე ელიან.

პური გვიყიდე ფრთამალად,
 უთხრეს – გწადია თუ ნდობა,
 ფული სოროში დამალა,
 დათვს დააბრალა ქურდობა.

ბოლოს მობეზრდათ მელიის,
თავხედობა და ტყუილი,
კვლავ პატიებას ელის ის –
დათვი მიუხტა ღმუხილით.

რაკი უძველეს დროიდან,
ტყეში წესრიგი სუფევდა,
განკითხვის ჟამი მოვიდა –
ზურგი აქცია სუყველამ.

მის უმსგავსობას მრავალდღეს,
ითმენდნენ ბოლმით, ძლიერით,
მერე კი ტყიდან გააგდეს
მელია ცრუ და ცბიერი.

.....
.....

**„სახელის გატეხას, თავის
გატეხა სჯობიაო“
(ხალხური)**

ტყის ბინადართა უმჯობური

მზიან დილით შეიკრიბნენ,
ულრანი ტყის მხეც-ნადირნი,
ეს არ იყო არც ალღუმი,
არც ლხინი და არც ნადიმი.

ადგილები დაიკავეს,
რანგისა და მოდგმის დაცვით,
ლომს მარჯვნიდან ვეფხვი ეჯდა,
მარცხნიდან კი შავი დათვი.

მოსხენება გააკეთა
ფეხმარდმა და ფლიდმა ტურამ:
„როგორ არის სპორტის საქმე,
რა დღეშია ფიზკულტურა.


ისე როგორც საჭიროა,
არ ვიღწვით და არ ვირჯებით
და ამიტომ, დღეს სუყველა
სწრაფ სირბილში ვეჯიბრებით“.

აზვირთდნენ და აბობოქრდნენ,
ფრუტუნით და ხტუნვა-ქაჩვით,
წინ გაიჭრა კურდღელი და
უკან დარჩნენ კუ და მაჩვი.

მერე მოხდა ის, რაც მოხდა:
მგელმა კურდღელს გაჰკრა ეშვი,
სპილოს გული წაუვიდა,
ვეფხვმა წყალი ასვა პეშვით.

დათვმა მგელი ამოიღო
მიზანში და ჩასცხო ტორი,
დათვს ფუტკარი დაეხვია,
მილიონი ერთი, ორი.
რადგან თაფლი შეუჭამა
მოგროვილი ჩუმად ხეში,
ატყდა კენესა, ოხვრა, ვიში,
ულამაზეს, ულრან ტყეში.
ზღარბი ფეხში გაეჩხირა,
ლომს არ მისცა გასაქანი,
სიმწრისაგან დაიგრიხა,
ძლივს მოსწყვიტა მიწას ტანი.
ვეფხვს შიმშილი აწუხებდა,
მიატოვა მარათონი,





ერთი მოსმით გადასანსლა
ტურა, მაჩვი და პითონი.
ჩაიშალა შეჯიბრება,
საქმე მოხდა საკვირველი,
კუ მივიდა ფინიშამდე
ერთადერთი და პირველი.

.....
.....
**თუ ძლიერებმა ერთმანეთი
(შურით და ღვარძლით),
გაანადგურეს... სავალალოს
ვერავენ დათვლის,
წარმატებისკენ –
თუ არ ძალოუძთ
იარონ სხვა გზით,
სუსტებს დარჩებათ
გამარჯვების
გვირგვინი დაფნის.**



მწერების სპარტაკიადა

მწერთა რიცხვმრავალ უბანში
ჟირაფი ჰყავდათ უფროსად,
ავარჯიშებდა ცურვაში,
ატყორცნიებდა უროსაც.


წვრთნიდა მათ რაგბის თამაშში,
ჭადრაკსაც ნლობით უცქერდა,
ფეხბურთი ჰქონდა მარაგში –
მოგება სურდა უცვლელად.

მოაწყეს სპარტაკიადა,
დრო შეარჩიეს სადარი.
ზეიმი, უფროს პლეადამ
გახსნა ზურნით და ნალარით.

სტარტების ჟამიც მოვიდა...
ვინ სად ვარჯიშობს, ვინ რაზე,
ჟირაფის თავის ღონიდან,
მწერი ძლივს მოჩანს მიწაზე.

უფროსმა ხვიხვინ-ვედრებით –
„ფხიზლად გეჭიროთ თვალიო,
თუ გსურთ აილოთ მედლები,
უნდა გაწიროთ თავიო“.

რწყილს დაევალა (შენიშვნით)
„შტანგაა შენთვის დღეს სპორტი,
ხელს ვერაფერი შეგიშლის,
გვინდა უთუოდ რეკორდი“.



მანაც დაბერა გულმკერდი,
 ხვითქისღვრით ათვზის იძალა,
 შტანგა ურჩი და უღრეკი
 ვერ დაძრა ადგილიდანაც.
 ჭიანჭველას კი ამაღვროს,
 უთხრეს, „გადახტი თამასზე,
 შენი უნართი ამაყოფს,
 დაბლა ჟირაფი, მალლა მზე“.
 ისურვა ტაში და ვაშა,
 კუნთები მოჭიმ-მოზიდა,
 თამასას როგორ დალაშქრავს?!
 მიწას ვერ ასცდა გოჯითაც.

შერცხვნენ უბანში ქებულნი,
 ჰქონდათ უი და ვიშ-ვიში,
 ჟირაფიც გამწარებული,
 ჩლიქებს ირტყამდა ცხვირ-პირში.

.....

**„შედეგს მიაღწევ დიდსაქებს
 (არა სჭირდება თქმა-ფიცი),
 თუ ხელს მოკიდებ იმ საქმეს –
 რაც გეხერხება, რაც იცი“.**

სიხარბე

ტყეს გაუჩნდა დიდი ცეცხლი,
 დაწიოკდნენ ცხოველნი,
 გასაქცევად მოემზადნენ,
 დიდ-პატარა, ყოველი.

გასწრებაზე ჰქონდათ სული,
 სახლ-კარს არვინ ჩიოდა,
 აქეთ დათვი ღრიალებდა,
 იქით ტურა კიოდა.

ღორი სახლს ვერ შეეღია,
 ხანძარს არად აგდებდა,
 მწარე ბოლით იხრჩობოდა,
 მაინც ტომრებს ავსებდა.

ტვირთს რომ ველარ მოერია,
ოქროს ყლაპვა დაიწყო,
ზოგიც სწრაფად, ფაცი-ფუცით
ჯიბეებში ჩაიწყო.

ყლაპა, ყლაპა, დამძიმდა და
ველარ შეძლო სირბილი,
უცებ თვალწინ წარმოუდგა,
გარდუვალი სიკვდილი.

ტკაცა-ტკუცით, ლაწა-ლუწით
ცეცხლი ტყეს მუსრს ავლებდა,
ცოცხალსა და უსიცოცხლოს
ბუგავდა და არბევდა.



დატრიალდა მწვადის სუნი,
მოსაყოლად არცა ღირს,
იმ დღის შემდეგ ქუცუნია
არ უნახავს არავის.

.....
.....

**„კაცის მტერია სიხარბე!
(ვერ ხვდება ბრიყვი, უვიცი),
ცხოვრებით მაშინ იხარებ,
სიცოცხლის ფასი თუ იცი“.**

**„სიხარბეს არ ცნობს ჭკვიანი –
აკნინებს ყველას მეობას...
მოაქვს უთვლელი ზიანი,
უზომო ჭამა-ღრეობას“.**

ს ა ტ რ ი ვ ი

მელთა, ტურა და მარვი -----	3
შურიტა და ლვარძლით -----	5
ნადირების ქარტია -----	8
ციყვი და ყვავი -----	10
ჯიუტი ბაჭია -----	11
უჯიშო მაიშუნი -----	13
უბედური კურდღელი -----	14
მსუნაგი თეთრი დათუჩა -----	16
მარვი, ზღარბი, თხა და ღორი -----	18
ვოკალისტი ვირი -----	21
საბედისწერი არჩევანი -----	23
ლეგიონერი კენგურუ -----	26
ფეხბურთის მწვრთნელი მგელი -----	28
ცანცარა ინდაური -----	30
ღორის ქორწილი -----	32
ცრუპენტელა მელთა -----	34
ტყის ბინადართა შეჯიბრი -----	36
მწერების სპარტაკიადა -----	39
სიხარბე -----	41